ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელს აპარატის უფროსს

ქალბატონ ელენე დუმბაძეს

ქალბატონო ელენე,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ 2017 წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

იხ.დანართი 7 ფურცელი

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 8 ფურცელი
№10/9691 11.10.17

<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ 2017 წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ მე-5 მოწვევის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი, საკრებულოს განათლებისა და კულტურის და სარევიზიო კომისიების წევრი.

2017 წელს ჩატარდა საკრებულოს 19, ბიუროს 19, ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართვლოსთვის“ 9 სხდომა. მიღებულია 420 განკარგულება და 68 დადგენილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან, თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში არსებული საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობების, სსიპ-ებისა, შპს-ებისა და ააიპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობ დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის განხილვასა და ფორმირებაში. პერიოდულად ვისმენთ მერიის სამსახურების ანგარიშს, ვიძლევით რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ სამომავლო გეგმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში, რაც იძლევა საშუალებას ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. ბიუჯეტის მიხედვით

პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურული განვითარება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება და ქალაქის გამწვანება-განაშენიანება, ეკოლოგია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება. ჩვენი მთავარი ამოცანაა ადამიანის კეთილდღეობა და მათ საჭიროებებზე ზრუნვა.

2017 წლის ბიუჯეტით განსაზრვრული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა ქვეპროგრამების მიხედვით გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის 2017 წლის ბიუჯეტი შეადგენს 186 783 400 ლარს, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვა: 42 062 500 ლარი, რომელიც 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 16 მილიონი ლარით. სოციალური დაცვა: 144 720 900 ლარი.

2017 წლის ბიუჯეტით ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის 8 და სოციალური დაცვის 24 ქვეპროგრამა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება-ბიუჯეტი შეადგენს 29 490 000 ლარს.

ქვეპროგრამა მოიცავს მოსახლეობისათვის კრიტიკულ მდგომარეობაში სასწრაფო სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომი, დროული და ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფას და კონკრეტულ შემთხვევებში სტაციონარში გადაყვანას.

დაავადებათა სკრინინგი - ბიუჯეტი შეადგენს 1 087 200 ლარს.

ქვეპროგრამა გულისხმობს ქ.თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის სკრინინგული გამოკვლევების დაფინანსებას. კიბოს სკრინინგის კუთხით პროგრა მოიცავს ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგს:

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - ბიუჯეტი შეადგენს 2 300 000 ლარს.

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - ბიუჯეტი შეადგენს 2 800 000 ლარს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - ბიუჯეტი შეადგენს 180 000 ლარს.

,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა - ბიუჯეტი შეადგენს 2 000 000 ლარს.

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება - ბიუჯეტი შეადგენს 7 200 000 ლარს.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება. ბიუჯეტი შეადგენს 400 000 ლარს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა - ბიუჯეტი შეადგენს 1 592 200 ლარს.

უფასო სასადილოებით მომსახურება - ბიუჯეტი შეადგენს 16 203 000 ლარს.

თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა - ბიუჯეტი შეადგენს 1 466 500 ლარს.

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება- ბიუჯეტი შეადგენს 750 40 ლარს.

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება- ბიუჯეტი შეადგენს 540 000 ლარს.

შინმოვლის თანადაფინანსება-ბიუჯეტი შეადგენს 414 000 ლარს.

მნიშვნელოვანია საკრებულოს მხარდაჭერა ახალი ევროპული სტანდარტების მქონე MAN-ის მარკის ავტობუსების ჩამოყვანასთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში თბილისში ჩამოყვანილი იქნა 143 ერთეული 12 მეტრი სიგრძის MAN-ის მარკის ავტობუსი, რომელიც არის ძალიან კომფორტული და, ამასთანავე, გარემოს დაცვის თვალსაზრისით მოიხმარს გაზს და არა ტრადიციულ საწვავს.

მოთხოვნაა, ასევე, შედარებით მცირეგაბარიტიანი ავტობუსების ჩანაცვლებაზეც, რომლებით იმოძრავებენ ქალაქის ვიწრო და მაღალრელიეფურ ქუჩებში.

დედაქალაქის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, ავარიული სახლების აღდგენა- რეაბილიტაციის პროცესი. დიდი წარმატებით დასრულდა პროექტ „ახალი ტფილისის“ პირველი ეტაპი-აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია. პროექის მეორე ეტაპის ფარგლებში დაგეგმილია ორბელიანის მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ნაძალადევში, ერთ-ერთ ყველაზე გრძელ 2,5 კილომეტრიან ჩარგლის ქუჩაზე, სადაც იცვლება სანიაღვრე სისტემა, გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე იგება ასფალტის საფარი. გარდა ამისა, მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამით, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება ილიას მუზეუმს. ქალაქში ბაგა-ბაღების მშენებლობა კვლავ გრძელდება. უახლოეს მომავალში დედაქალაქის მასშტაბის კიდევ რამდენიმე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის გახსნა იგეგმება. (12 გაიხსნა, 13 ეტაპობრივად უახლოეს მომავალში გაიხსნება).

დასრულებულია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა მრავალსართულიანი ავტოსადგომების მშენებლობასთან დაკავშირებით. ქალაქის მაშტაბით შერჩეულია ისეთი ადგილები, რომლებიც ძალიან დატვირთულია და პარკირებაზე მოთხოვნა მაღალია. მაგალითად: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მეტრო სადგური „მარჯანიშვილი“, პუშკინის მოედანი, თბილისის საკონცერტო დარბაზი, მეტრო სადგური ისანი, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, გულიას მოედანი, მეტრო სადგური ვარკეთილი და სხვა ადგილები.

სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა პეკინის ქუჩაზე. გამოიცვალა მოძველებული წყალგაყვანილობა, გაზსადენები, წყალანირების სისტემა, გზის სავალი ნაწილის ტროტუარების ასფალტი. მთლიანად კაპიტალურად განახლდა გზის საფარი.

შემუშავდა ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნას. უახლოეს მომავალში თბილისს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკუმენტი, რაც საშუალებას მოგვცემს ვაკონტროლოთ სამშენებლო პროცესები.

2017 წლის 28 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №8-35 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს №14-39.24.05.2016წ, დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების" წესებში, რომლითაც გამკაცრდა სარეკრეაციო ზონების დაცვის რეჟიმი, მშენებლობისას გაიზარდა გამწვანებული ნაწილის კოეფიციენტი. წესები ითვალისწინებს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისთვის მინიმალური ტერიტორიის განსაზღვრას და იგი შეადგენს 5000 კვ.მ–ს. განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთებისათვის სხვაგვარად შეუძლებელია გამოყენებისა და განაშენიანების რეგლამენტების დადგენა. მინიმალური ფართობის განსაზღვრა, რომელზეც სავალდებულო იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება, წარმოადგენს ეფექტურ ბერკეტს სამშენებლო ტერიტორიების გეგმაზომიერი, მოწესრიგებული განვითარებისთვის.

მოქალაქეებთან შეხვედრები

საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე 2017 წლის იანვრიდან დღემდე შემოსულია 3127 განცხადება. განცხადებებზე კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში მოხდა სათანადო რეაგირება, უმეტესი ნაწილი, შუამდგომლობის შედეგად, დაკმაყოფილდა, ნაწილზე კი მიმდინარეობს მუშაობა.

ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი კვირის ოთხშაბათს მოქალაქეებთან შეხვედრა. წლის დასაწყისიდან დღემდე გაიმართა შეხვედრა 587 მოქალაქესთან, რაც ითვალისწინებს მათი პრობლემების გაცნობასა და შემდგომ მოგვარებას. გარდა მოქალაქეებთან საკრებულოში შეხვედრებისა, ვახორციელებ გასვლით შეხვედრებს დედაქალაქის ათივე რაიონში საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად, რაც ემსახურება ჩვენი თანამოქალაქეებისათვის აქტუალური საკითხების უკეთ გაცნობას, დედაქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, ურბანული, დასაქმებისა და სხვა პრობლემების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით და მათზე შემდგომ რეაგირებას.

დედაქალაქის საკრებულო აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობაში. სწორედ ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა საგადასახადო შეღავათები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე, რაც მხოლოდ სიმბოლური გადასახადით გამოიხატება. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა, რათა რაც შეიძლება უფრო მეტმა ადამიანმა ისარგებლოს აღნიშნული შესაძლებლობებით.

შეხვედრებში მონაწილეობა და სხვა აქტივობა

საკრებულოში ფუნქციონირებს მუნიციპალიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან მერი, ვიცე-მერი, მერის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე და ფრაქციების წარმომადგენლები. საბჭოს მუშაობის მიზანია მერიასა და საკრებულოს შორის ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირებული მუშაობა დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ინვესტიციების მოზიდვისა და შემდგომი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით საკრებულოში ვმასპინძლობთ უცხო ქვეყნების დელეგაციებს. მივიღეთ ჩინეთის დელეგაცია. ჩინელ ბიზნესმენებთან შეხვედრა ორ დამეგობრებულ ქალაქს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ივნესტიციების მოზიდვას ითვალისწინებს.

მიმდინარე წელს საკრებულოს წევრებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი კრაკოვში (პოლონეთი), სადაც მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ კონგრესში. კონგრესს ესწრებოდნენ ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების მომხსენებლები. საკითხები მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი, კერძოდ: გლობალური ცვლილებები და მმართველობები 21-ე საუკუნეში, ადგილობრივ თვითმმართველობათა ფინანსური მგდომარეობა, როგორ უნდა შეიქმნას და წარმატებით დამკვიდრდეს საჭირო რეგიონალური მართვის სტრატეგია, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების შემოტანა და რეგიონალური ეკონომიკის განვითარება, ქალაქები როგორც იდეა-ახლებური მიდგომა ურბანული განვითარებისა, ბიზნეს-ტურიზმი როგორც ლოკალური განვითარების ფაქტორი, თანამედროვე ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, რეგიონებში ცხოვრების ხარისხის ამაღლება და სხვ.

მიმდინარე წლის 10-12 მაისს თბილისის მუნიციპალიტეტის დელეგაცია, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში EBRD -ის წლიურ შეხვედრასა და ბიზნეს ფორუმზე ღებულობდა მონაწილეობას. შევხვდით ნიქოზიის ვიცე მერს. საუბარი შეეხებოდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ,

ქალაქგეგმარებით, ეკოლოგიურ საკითხებს, აგრეთვე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

2017 წლის 7-11 ივნისს, ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან და დედაქალაქის ვიცე-მერთან ერთად ვიმყოფებოდი დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში. დელეგაციის მიზანი მწვანე ქალაქის მდგრადი განვითარების გაცნობა იყო. ქართულმა დელეგაციამ პირველი შეხვედრა რამბოლის სათაო ოფისში გამართა. რამბოლის სამუშაო ჯგუფმა თბილისის ზღვის განაშენიანების გეგმა წარმოადგინა, რის შემდეგაც ქართულმა მხარემ კოპენჰაგენის მერის მეგზურობით დაათვალირა ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები, ძველი ინდუსტრიული საპორტო ადგილი, ნონ-სტოპის მეთოდით მომუშავე ღია საცურაო კომპლექსი, პარკირების კონსტრუქციები, საცხოვრებელი და რეკრეაციული ზონა და სხვ. შეხვედრა ასევე შედგა კოპენჰაგენის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთანაც. ვიზიტის დასასრულს ქართული მხარე გაემგზავრა ბრატისლავაში, სადაც „ექსიმბანკის“ ბორდის თავმჯდომარესთან ერთად განიხილა სამომავლო და საქმიანი ურთიერთობების გაგრძელების პერსპექტივები.

ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქში შემოვიდეს ბევრი ინვესტიცია, რომელიც დედაქალაქის განვითარებას შეუწყობს ხელს. საბედნიეროდ , როგორც აღმოსავლეთის, ასევე, დასავლეთ ევროპის ქვეყნები ჩვენით სულ უფრო მეტად ინტერესდებიან. ეს კი მეტი ინვესტიციის მოზიდვის წინაპირობაა. მასშტაბური პროექტების განხორციელება ჩვენი დედაქალაქისათვის პრიორიტეტულია, რათა მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას, რაც, დადებითად აისახება თითოეული ოჯახის კეთილდღეობაზე. ქალაქის საჭიროებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკრებულოს კომისიების აქტიური მუშაობა ისეთ საკითხებზე, იმ ნორმატიულ აქტებზე, რომლებიც თითოეული მოქალაქის ყოველდღიურობასა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე აისახება.

სრული ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ჩატარებული ღონისძიებებისა და ზოგადად საქმიანობის შესახებ დაწვრილებით და დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (http://tbsakrebulo.gov.ge/).